ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1349267

ნომერი: AR1229590

თარიღი : 18.06.2014

გაცემის თარიღი : 25.06.2014

გაცნობის თარიღი : 26.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი-გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა რუსაძე პ/ნ 60001005614
- ქუთაისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 142 ბ. 57

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. მოთხოვნის ტექსტში ვრცლად და დეტალურად ასახეთ ყველა ჩასატარებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.
2. საპროექტო შენობა–ნაგებობების განთავსება უნდა განხორციელდეს ა. ბელიაშვილის ქუჩის მხრიდან 10 მეტრიანი რეგულირების ხაზის დაცვით, სამახურის მიერ გადმოგზავნილ დანართზე მითითებულ საპროექტო ტერიტორიაზე (იხ. დანართი), რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ სამსახურის მიერ გადმოგზავილ დანართი ზედ საპროექტო ობიექტების კონტურების დატანით და დეტალურად გაბარიტული ზომების მითითებით.
3. I კლასს განეკუთვნება 60კვ.მ-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა, წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით კი ვინაიდან სავაჭრო დარბაზისთვის განკუთვნილი შენობა და დროებითი სათავსოები მოდის ერთმანეთთან შეხებაში და ერთად სამივე შენობის განაშენიანების ფართი აღემატება 60 კვ.მ, შესაბამისად სცდება I კლასს და განეკუთვნება ისეთი სახის სამუშაოებს, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ საკითხი განხილულ იქნას I კლასად, საჭიროა სამივე ობიექტი განთავსდეს ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. რაც უნდა აისახოს საპროექტო ესკიზურ ნახაზებზე, რომელზეც უნდა მიუთითოთ ყველა გაბარიტული ზომა, მათ შორის მანძილი შენობა-ნაგებობებს შორის. გაითვალისწინეთ, რომ განაშენიანების ფართში შესაყვანი იქნება გარე კიბის ფართიც.
4. საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო შენობის განთავსებისთვის შერჩეული ტერიტორიის განახლებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და მათ საფუძველზე დამუშავებული, ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად განახლებული ფოტომონტაჟები. დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.
5. არსებული სიტუაციის ფოტოსურათებიდან და ფოტომონტაჟიდან ირკვევა, რომ საპროექტო დავალებითი სამუშაოებით გათვალისწინებულია ღობის მშენებლობა, აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში და დამატებით ზემოაღნიშნულ წარმოსადგენ საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ საპროექტო ღობის კონტურიც.
6. ასევე ისარგებლეთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და თქვენ მიერ არჩეულ ნომენკლატურებთან ერთად დამატებით აირჩიეთ "ლანდშაფტური მშენებლობა"--> ქმედებებში - ახალი მშენებლობა და "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე"--> ქმედებებში - ახალი მშენებლობა.

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.